

Contract № 379

Date: 05 December 2016

Procuring organization:

Department of Tourism and Resorts of Ajara Autonomous Republic, represented by the Chairman – Mamia Berdzenishvili
 Identification code : 245427809
 Address: №84/86, Parnavaz Mepe Str. Batumi, Georgia.

Tel: (995 422) 277438

E-mail: info@gobatumi.com**Bank: TBC Bank**

Bank code: TBCBGE22

Settlement account:

№GE62 TB79 0173 6010 1000 15

Supplier:

Company name: Gezimanya Turizm Tanitim Reklam ve Internet Hizmetleri Ticaret LTD. STI

Address: Salih Tozan Sok. Polat Apt. C Blok 10/16 Esentepe, Istanbul, Turkey

VAT: 3950885371

Authorized person: Tugce Yilmaz Ozbilgi

Bank details:

Address: Tomtom Mah Istiklal Cad. No: 179/a, Beyoglu, Istanbul, TURKEY

Account IBAN: TR730006701000000042787618

SWIFT: YAPITRISXXX

(Procurement is realized in accordance with Georgian law „On State Procurement” article 10¹, paragraph 3, sub paragraph “D”, by the Order of the Chairman of the State Procurement Agency N185 dated January 18 2016 and by the Order №21 of the Government of Autonomous Republic of Ajara dated by February 23, 2016 (SMP – 160000139; CPV - 79300000)

Now it is hereby agreed as follows:

1. Contract Subject and Duration

1.1. Supplier on demand of the procuring organization undertakes a duty to run a public relations campaign in Republic of Turkey with objective to popularize Ajara region and Batumi city in accordance with the annex №1, №2 that

ხელშეკრულება № 379

თარიღი: 05 დეკემბერი 2016 წელი

დამკვეთი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, წარმოდგენილი თავმჯდომარის მამია ბერძენიშვილის სახით.

საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809

მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №84/86

ტელეფონი: +995422 277438

ელ ფოსტა: info@gobatumi.com**საბანკო რეკვიზიტები:**

ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“

საბანკო კოდი: TBCBGE22

ანგარიში: №GE62 TB79 0173 6010 1000 15

შემსრულებელი:

Gezimanya Turizm Tanitim Teklam ve Internet Hizmetleri Ticaret LTD. STI

მისამართი: Salih Tozan Sok. Polat Apt. C Blok 10/16 Esentepe, Istanbul.

VAT: 3950885371

წარმოდგენილი თუჩე ილმაზ ოზბილგის სახით

საბანკო რეკვიზიტები:

Bank Address: Tomtom Mah Istiklal Cad. No: 179/a Beyoglu, Istanbul, TURKEY

Account IBAN: TR730006701000000042787618

Swift Code: YAPITRISXXX

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 18 იანვრის N185 განკარგულების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 23 თებერვლის №21 განკარგულების საფუძველზე; SMP – 160000139 (CPV კოდი- 79300000);

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ვადა

1.1. შემსრულებელმა, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, აჭარის რეგიონისა და ქალაქ ბათუმის პოპულარიზაციის მიზნით უნდა უზრუნველყოს სარეკლამო კამპანია თურქეთის რესპუბლიკაში წინამდებარე ხელშეკრულების N1 და N2 დანართის და მათში მითითებული ვადების შესაბამისად,

represent an inseparable part of the present contract.

1.2 The supplier undertakes the duty to conduct following activities for the procuring organization:

a) Conducting Advertising Campaign at Travel Turkey Izmir 2016" for the purposes of popularizing the touristic potential of Adjara in the republic of Turkey in accordance with the annex №1 that represents an inseparable part of the present contract.

b) Advertising campaign of new year in Batumi in accordance with the annex №2 that represents an inseparable part of the present contract.

2. Value of the Contract

2.1 The value of the contract is 18500 (eighteen thousand and five hundred) USD. Contract price includes all expenses of the Supplier and all taxes, related to performance of the service.

2.2. For procuring organization total value of the contract including Georgian taxes amounts to 21830 (Twenty one thousand eight hundred and thirty) USD.

3. Quality

3.1 Provided service within the scope of this contract, should correspond to the standards and technical norms.

3.2 Supplier is liable for the service he provides, that it will comply with the contract terms and meet the Procuring Organization requirements.

3.3 Supplier is responsible for the quality of the performed service.

3.4 In case of the service regarded by the article 1 is performed in incomplete and/or defective way, the procuring organization is entitled to inform the supplier about the fact. Supplier is required to eliminate outstanding and/or defective service at its own expenses.

რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს დამკვეთს შემდეგი მომსახურებები:

ა) სარეკლამო კამპანია გამოფენაზე "Travel Turkey Izmir 2016" დანართი N1 შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ბ) საახალწლო სარეკლამო კამპანია სოციალურ ქსელში დანართი N2 შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 18500 (თვრამეტიათას ხუთასი) აშშ დოლარი და მოიცავს „შემსრულებლის“ ყველა ხარჯსა და გადასახადს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

2.2. „დამკვეთისთვის“ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 21830 (ოცდაერთიათას რვაასოცდაათი) აშშ დოლარს.

3. ხარისხი

3.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

3.2. „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს „დამკვეთის“ მოთხოვნებს.

3.3. „შემსრულებელი“ პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

3.4. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურების არაჯეროვნად ან/და უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში „დამკვეთი“ უფლებამოსილია მიაწოდოს აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია „შემსრულებელს“, რომელიც ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას არსებული ხარვეზები.

3.5. იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებელი“ ვერ

3.5 In case if the supplier cannot provide the elimination of the defects, Procuring Organization is authorized to reject the service provided.

4. Rule of acceptance

4.1 The service delivery and acceptance is realized step by step (gradually) as prescribed by article 5 of the current agreement after the services provided by the article one and the relevant annexes of the current contract are completely fulfilled according to the invoice presented to the procuring organization by the supplier and factually provided service, on basis of signing a delivery and acceptance act (certificate of acceptance) by the parties.

4.2. From the side of the procuring organization acceptance delivery act is signed by:

- a) Mamia Berdzenishvili – Chairman of the Department.
- b) Sophio Lazishvili – The first Deputy Chairman
- c) Ketevan Dotchviri – Head of Public Relations and advertising division

5. Terms and conditions of payment

5.1. The payment shall be realized by the Procuring Organization to the supplier according to the invoice presented to the Procuring Organization and factually provided services within no later than 15 working days after the delivery and acceptance act (certificate of acceptance) regarded by the article 4 of the current contract is signed between the Procuring Organization and the supplier.

5.2. The payment currency is US Dollars.

5.3 The method of payment is by transfer.

6. Responsibilities

უზრუნველყოფს ხარვეზების აღმოფხვრას, „დამკვეთი“ უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლით გაწერილი წესით, „შემსრულებლის“ მიერ „დამკვეთისთვის“ წარმოდგენილი ინვოისისა და გაწეული მომსახურების შესაბამისად, მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

4.2. „დამკვეთის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერილი პირებია:

- ა) მამია ბერძენიშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარე;
- ბ) სოფიო ლაზიშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
- გ) ქეთევან დოჭვირი - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების უფროსი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. „დამკვეთის“ მხრიდან „შემსრულებელთან“ ანგარიშსწორება დამკვეთისთვის წარმოდგენილი ინვოისისა და გაწეული მომსახურების შესაბამისად, „დამკვეთსა“ და „შემსრულებელს“ შორის წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება აშშ დოლარში.

5.3. გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. საჭიროების შემთხვევაში „დამკვეთი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს „შემსრულებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2. „დამკვეთი“ ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება

6.1 In case of necessity the procuring organization has the right to inspect the performance and quality of the service provided by the supplier at any time.

6.2 The Procuring organization agrees and commits to remunerate the service costs in the terms of contract.

6.3 The Supplier is authorized to demand from the procuring organization the remuneration of the service it provides in the terms of contract.

6.4 Supplier is responsible to provide the procuring organization with the relevant service.

6.5. Supplier is obliged to present to the procuring organization a report (including photo data) about the service provided in accordance with the present contract.

7. Contract Fulfillment Control

7.1 Procuring Organization is entitled to inspect the service at any period of contract fulfillment. This aims at checking the correspondence of the service with the contract terms and procuring organization demands.

7.2 In case of the control regarded by the article 7.1 The procuring organization appoints:

A) Sophio Lazishvili – Deputy Chairman

B) Ketevan Dotchviri - the head of the public relations and advertising division.

B) Bitchiko Varshanidze - the chief specialist of the public relations and advertising division.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. „შემსრულებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „დამკვეთს“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. „შემსრულებელი“ ვალდებულია გაუწიოს „დამკვეთს“ სათანადო ხარისხის მომსახურება.

6.5. „შემსრულებელი“ ვალდებულია მოთხოვნის შესაბამისად წარმოუდგინოს „დამკვეთს“ ანგარიში (ფოტო მასალის წარმოდგენა) წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების თაობაზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. „დამკვეთი“ უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „დამკვეთის“ მოთხოვნებთან.

7.2. ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) საჭიროების შემთხვევაში „დამკვეთის“ მხრიდან განახორციელებს:

ა) სოფიო ლაზიშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ბ) ქეთევან დოჭვირი - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების უფროსი;

გ) ბიჭიკო ვარშანიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. „დამკვეთის“ ან „შემსრულებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დამრღვევი მხარე იხდის პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.

8.2. თუ „შემსრულებლის“ მხრიდან სახეზეა ვალდებულების ან მისი ნაწილის არაჯეროვანი

8. Forfeit for unfulfilled contract obligations

8.1 In case the supplier or the procuring organization does not fulfill the responsibilities regarded by the present contract or in case the fulfillment of the responsibilities is delayed, the violating party agrees and commits to pay an interest in amount of 0.02% of the total contract price per each delayed day.

8.3 If there is a case of undue fulfilment of duties or part of the duties, or non-fulfilment from the Supplier (apart from the cases when the fulfilment is delayed) and the additional term has expired or there is no use of setting an additional term, the Supplier will be fined by 10% of the value of unfulfilled duties.

8.4 The fact of penalty payment does not free the violating party from the performance of its obligations.

9. Overpowering force - Force majeure

9.1 Both Parties are relieved from liability of non-performance of their obligations under the contract, if non-performance was caused by force majeure.

9.2 Overpowering force means circumstances which are irresistible and unforeseen; and are not in connection with any party's defaulting action and their negligence.

9.3 Party, which is not capable of performing his obligation under the contract on account of overpowering force is obliged to notify about above mentioned to another party immediately. If it is not notified worded he will not be eligible to require revealing from the obligation under the contract by indicating force majeure circumstances; except if such non-notification was caused by force majeure.

შესრულება, ან შეუსრულებლობა გარდა ვადის გადაცილების შემთხვევებისა, და შემსრულებლისთვის დამატებითი ვადა გასულია ან მის განსაზღვრას აზრი არ აქვს, შემსრულებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა - (ფორს მაჟორი)

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ კი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის (ფორს- მაჟორი) გარემოებათა გამო.

9.2 დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.3 მხარე რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. თუ ასეთი შეტყობინება გაკეთებული არ იქნება წერილობით, დამრღვევ მხარეს უფლება არ აქვს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით მიუთითოს ასეთ გარემოებებზე, თუკი შეტყობინების გაუგზავნელობაც არ იყო გამოწვეული ამ გარემოებებით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით წერილობითი ფორმით, რაც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10. Contract Amendment/Correction and Termination

10.1 Any amendments and/or supplements to the contract can be made only by the parties confirmed written agreement signed by the parties' authorized representatives.

10.2 The change of contract conditions, particularly payment conditions resulting into procuring organization inconvenience is strictly prohibited.

10.3 In case of non-fulfillment of contract conditions by one of the parties, other one has the right to cancel the contract unilaterally.

10.4 Party is obliged to send the written notice or email, informing the other side about the decision stated in the article 10.3.

10.5 The contract can be terminated by consent of the parties as a result of their mutual agreement.

11. Disputes Settlement

11.1 Any disputes arisen during the term of the contract should be solved through negotiations. In case of disagreement, the parties are authorized to refer to the General Courts of Georgia, the governing law shall be the Law of Georgia.

12. Contract Validity Period

12.1 The present contract comes into force when signed by the parties and is valid till March 31 of 2017. In case of outstanding obligations, the contract validity date expands until the contract conditions are fully and duly performed.

13. Other Conditions

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „დამკვეთისთვის“.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოებს, გამოსაყენებელი სამართალია ქართული კანონმდებლობა.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით. ხოლო ვალდებულებების ნაწილში მათ სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ინგლისურ-ქართულ ენებზე, რომელთაგან ორი გადაეცემა „დამკვეთს“ ხოლო ერთი „შემსრულებელს“. ტექსტის ინტერპრეტაციისას ინგლისურ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადაწყვეტს.

13.1 The contract is concluded in three English and Georgian legally identical copies. Two copies are delivered to the procuring organization and one is retained by the supplier. While interpreting the text, the contract in the English language prevails.

13.2 Parties agree with the terms of the present contract and confirming hereinabove terms sign the present contract.

13.3 Copies of documents, transferred via Fax or email have equal juridical obligations for both parties.

Supplier:

Gezimanya Turizm Tanitim Reklam ve Internet Hizmetleri Ticaret LTD. STI

Tugce Yilmaz Ozbilgi

GEZIMANYA TURIZM TANITIM REKLAM ve INTR.
HIZMETLERI TIC. LTD. STI.
Esentepe Mah. 5. Mith Togan Sok. Polat Apt.
C Blok No: 10/16 / 34398 / ISTANBUL
Gsm: 0532 842 58 52 - Tel: 0212 709 43 94
Zincirlikuyu V.D. 395 088 5371 - Ticaret Sicil No: 864383
Mersis No: 1825254516239968
<https://gezimanya.com> info@gezimanya.com

Date 05.12.2016

13.2. მხარეები არსებითად ერთნაირად ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება.

13.3. დოკუმენტის ასლებს, რომლებსაც მხარეები ერთმანეთს გადასცემენ ფაქსით, ელექტრონული ფოსტით და სხვა საშუალებებით, აქვს თანაბარი იურიდიული ძალა ორივე მხარისათვის.

დამკვეთი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი
თავმჯდომარე:
მამია ბერძენიშვილი

Procuring Organization:

Department of Tourism and Resorts of Ajara Autonomous Republic

Chairman – Mamia Berdzenishvili



თარიღი

05.12.2016

2016 წლის 06 დეკემბრის N379 ხელშეკრულების დანართი N2
05 December 2016 N2 Annex of the Contract N379
Advertising Campaign of New Year in Batumi

საახალწლო სარეკლამო კამპანია

მომსახურების დასახელება	Period/პერიოდი	Sub total \$/ ჯამი დოლარში
აჭარის რეგიონში საახალწლო დესტინაციის პოპულარიზაციის მიზნით ბლოგერების მიერ 9 ბლოგზე (Kesfetsek, Bir Hayalin Peşinde, Vizesiz Geziyorum, Gezenti Anne, Süper gezinler, Gezeceğiz, Kesif Perisi, Yoldaki, Gezgin Yogini) ან შესაბამისი რეინტინგის მქონე ბლოგებზე სტატიების განთავსება / Publishing articles 9 Blogs: (Kesfetsek, Bir Hayalin Peşinde, Vizesiz Geziyorum, Gezenti Anne, Süper gezinler, Gezeceğiz, Kesif Perisi, Yoldaki, Gezgin Yogini) Or similars to promote Ajara as new year tourism destination.	8-16 დეკემბერი / 8-16 december	5995
აჭარის რეგიონში საახალწლო დესტინაციის პოპულარიზაციის მიზნით ვებ გვერდზე GEZIMANYA.COM-ზე სტანდარტული ბანერის (300 x 250 px) განთავსება. დაგეგმილი ნახვა სავარაუდოდ 200 000. / Standart Banner Usage (300 x 250 px) on web page GEZIMANYA.COM. Planned view 200 000.	8-16 დეკემბერი / 8-16 december	690
აჭარის რეგიონში საახალწლო დესტინაციის პოპულარიზაციის მიზნით ვებ გვერდზე Hürriyet.COM/GUNDEM-ზე რეკლამის განთავსება (Pageskin Ad) დაგეგმილი ნახვა სავარაუდოდ 2 200 000/ Placing Pageskin ad on HURRIYET.COM/GUNDEM. Planned view 2 200 000	9 დეკემბერი / 9 december	3552
სულ ჯამი/ Total		10237

დამკვეთი/ Supplier


 GEZIMANYA TURİZM TANITIM REKLAM ve İNTR.
 HİZM. TİC. LTD. ŞTİ.
 Eseritepe Mah. Şahin Tozan Sok. Polat Apt.
 C Blok No: 10/16 Sisli / İSTANBUL
 Gsm: 0532 442 63 52 - Tel: 0212 709 43 94
 Ticirlikuyu V.D/395/88 6371 - Ticaret Sicil No: 864383
 Mersis No: 1825254516239968
<https://gezimanya.com> info@gezimanya.com

შემსრულებელი/ Provider




2016 წლის 06 დეკემბრის N 379 ხელშეკრულების დანართი N 1

05 December 2016 N1 Annex of the Contract N379

სარეკლამო კამპანია გამოფენაზე "Travel Turkey Izmir 2016"/"Advertising Campaign in Travel Turkey Izmir 2016"

Main Activities / მთავარი აქტივობები	Period/პერიოდი	Sub total Euro / ჯამი (აშშ დოლარი)
ატარის რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით ბათუმის 360 ვიდეოების დამზადება და თურქეთის რესპუბლიკაში ქალაქ იზმირში დაგეგმილ "Travel Turkey Izmir 2016" გამოფენაზე მათი დემონსტრაცია 2 VR სათვადის მეშვეობით შესაბამისი პერსონალის მიერ. / Batumi 360 video production, 2 high-resolution VR glasses & 1 hostess will be provided until the end of fair. The visual material (video) as well as the equipment are to be rented for the duration of Izmir Travel Turkey only.	8-11 დეკემბერი / 8-11 december.	6625
ატარის რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით ქალაქ იზმირში დაგეგმილ "Travel Turkey Izmir 2016" გამოფენაზე ბლოგერებისთვის ღვინის დეგუსტაციის დაგეგმვა და მათი მოწვევა. დაგეგმილი ღვინის დეგუსტაციის გასაგრძელებლად აღნიშნულ ღვინის დეგუსტაციის შესახებ სტატიების გავრცელება. . Announcement of Happy Hour (wine degustation) to bloggers .Selection of partner bloggers and agreement with them for social media posts.	10 დეკემბერი / 10 დეკემბერი	1638
სულ ჯამი/ Total		8263

შემსრულებელი/ Supplier

დამკვეთი / Provider

GEZIMENYA TURİZM TANITIM REKLAM ve İNTR.
 MİZM. TİC. LTD. ŞTİ.
 Esentepe Mah. Salih Tukan Sok. Polat Apt.
 C Blok No: 10/16 Kat: 16 / İSTANBUL
 GSM: 0532 442 53 52 - Tel: 0212 709 43 94
 Anadoluköyü V.D/ 395 088 5371 - Ticaret Sicil No: 864383
 Mersis No: 1825254516239968
<https://gezimanya.com> info@gezimanya.com

